1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	8 800.0	9 397.0	4 787.5	50.9%	104 287.5

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა (საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 92 449 გასვლა);
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მეორე და მეექვსე სართულზე სამუშაო ოთახებისა და არქივის მოწყობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, გარემონტდა ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 55 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური;
- რეგიონალური დანაყოფების ცენტრალური დაკვირვების პულტის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა 4 ცალი სერვერი;
- ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისთვის საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 45 ერთეული სპეციალიზირებული, დაჯავშნილი (ფურგუნის ტიპის) მიკროავტობუსი და 20 ერთეული სპეციალიზირებული, დაჯავშნილი პიკაპის ტიპის ავტომანქანა.
- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დასაცავი ობიექტების პერიმეტრული დაცვისათვის შეძენილ იქნა 600 ცალი საკონტროლო პანელი;

- ყოველდღიურად დაგროვილი ინფორმაციის, მონაცემების დაარქივებისა და საიმედოდ შენახვის უზრუნველსაყოფად, ასევე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მყისიერად აღდგენის შესაძლებლობის მიზნით, შეძენილ იქნა 1 ცალი მონაცემთა ქსელური საცავი;
- კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეძენილ იქნა 5 ცალი ცენტრალური სადისპეჩერო პულტის ოპერატიული მართვის სადისპეჩერო კონსოლი.